ქართული აზრი

№ 82 ნიუ იორკი, დეკემბერი 1969 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, DECEMBER 1969.

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

ნიუ იორკი, დეკემბერი 1960 წ.

ორი იუბილე

„ჩვენ გვესმის და ადვილად გამოსაცნობიც არის, რისთვის გვიხარია შობის დღე. გვესმის ეს დიდი დღე, რისთვის არის დიდი, რისთვის არის ყოველწლივ სიხარულით და მოლოდინით მისაგებებელი, რისთვის არის სადღესასწაულო დიდისა და პატარასათვის. ამ დღეს დაიბადა სიკვდილითა სიკვდილის დამთურგნელი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი, ღმერთი ყოვლად მოწყალებისა და ყოვლად მხსნელი სიყვარულისა. ღმერთი ნუგეშის მცემელი უძლურისა და ულონოსი; დაერდომილთა აღმდგენელი, სნეულთა მაფარებელი, ცოდვილთა შემწყნარებელი, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მეოხ-პატრონი და მწყალობელი. მან აღიმაღლა ღირსება და პატივი ადამიანისა იქამდე, სადამდისაც მისდა მოსვლამდე ვერ მიმწვდარიყო ადამიანის შეხებული გონება და გაუღვიძებელი გრძნობა“.

ილია

***

ასეთი იყო და დარჩა ქრისტეს შობის დღესასწაულის მაღალი გაგება და დანიშნულება.

ჩვენც, ამ შთამაგონებელი მოძღვარის დაბადების დღეს. ულოცავთ ჩვენს თანამემამულეებს, შინ და გარეთ, ამ წმინდა დღესასწაულს. ყოველ ქართველს უსურვებთ ბედნიერებას, მიზნის მიღწევას, შრომისა და ეროვნული თვითმყოფობისათვის ბრძოლის უნარის განმკიცებას.

სასოებით ვიგონებთ მათ სახელებს, რომლებმაც თავდაუზოგველი შრომით, თავდადებული ბრძოლით და სანიმუშო მიძღვნილობით, საქართველო ქრისტიანულ კულტურას აზიარეს და ჩვენი ერი გააკეთილშობილეს.

ვინ დასთვლის, ვინ ასწონავს ჩვენი წმინდა მამების ღვაწლსა და ამაგს? როგორი მუყაითობით, მძიმე შრომით და დაუშრეტელი ენერგიით შექმნეს ქართული ეროვნული კულტურა და ის ქრისტიანული ცივილიზაციის უძველეს ერთა შორის პატივითა და დიდებით შეიყვანეს.

ილია ამბობდა: „ქრისტე ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის, საქართველო კი ქრისტესათვისო“! ეს არ არის „ქრისტესათვის ჯვარცმული“ საქართველოს ბელადის მწუხარე ამოძახილი, არამედ ქრისტიანიზმისა და ქართული ეროვნულობის შერწყმის დასაბუთება და ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში მისი მაღალი როლის და დანიშნულების აღიარებაა.

ჩვენმა წინაპრებმა თავიდანვე სწორედ გათვალისწინეს, რომ ერის ძალა, მისი მარადიულობა, მის ზნეობრივ სიმტკიცეშია და ამას ვერა სცვლის რიცხობრივობა, ან შეიარაღება.

ჩვენი ისტორიის ყოველ ეპოქაში, როცა კი ერი განსაცდელის პირისპირ იდგა, გამოჩნდებოდნენ ხოლმე იაკობ ხუცესები, იოანე საბანისძენი და ქართველ ხალხს სწორედ მაშინ მისცემდნენ სულიერ საზრდოს და ზნეობრივი ძალის საქედ გრდემლზე ჩაქუჩს მაგრად დაარტყავდნენ. ჩვენი ერის რჩეული შვილები მაღალი მოაგონებით თავიდანვე მიხვდნენ, რომ ერის სულიერ-ზნეობრივი ძალის საფუძველი ქრისტიანული მორალია: სათნოება, სიკეთე, სიყვარული და კეთილშობილი მაპატიებელი ბუნება, ადამიანის ღირსების დაცვა და დაფასება . . .

ერთი ჩანელი მეცნიერი თავის ხალხს ამოძღვრებდა: „ისე მოაწყე ცხოვრება, რომ სიკვდილისათვის ყოველთვის მზათ იყოო!. ქრისტემ კი ადამიანს უკვდავება, მარადიულობა დაუსახა მიზნად. მიწიერი, ბიწიერი, მატერიალური სიძლიერის უარყოფით და ღვთიურ-ზეციური, სულიერ-ზნეობრივის მიზნან დასახულნმით, ქრისტემ ახალი შინაარსი და დანიშნულება მისცა ადამიანის სიცოცხლეს.

დღეს, — ქრისტეს დაბადების ორიათასი წლისთავზე, ყველასათვის ნათელია, რომ კაცობრიობის პროგრეს, ცივილიზაციას და კულტურას, ქრისტეს მცნება დაედო საფუძვლად და, სამართლიანად, მას ქრისტიანული კულტურა ეწოდა. ვინც ქრისტიანიზმს ვერ ეზიარა, ის ეროვნულათაც დაქვეითდა და დაკნინდა.

შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ მუსულმანურ რკალში მოქცეული საქართველო შეინახავდა თავის ეროვნულ პიროვნებას, თუ მისი თვით არსებობისათვის ბრძოლის ქვაკუთხედი ქრისტიანული მორალი, ქრისტიანული სათნოება და ამავე დროს ქრისტიანული სიმტკიცე და მიძღვნილობა არ იქნებოდა.

„ვინც რომ მოკვდნენ მეფეთათვის სულნი მათნი ზეცას რბიანო“. განა ეს ქრისტიანიზმის პირდაპირი ამოძახილი არ არის? მაღალი დანიშნულების ადამიანის უკვდავების, მისი მარადიულობის სანიმუშო გამოხატულება?!

მონობის ტალღათა ყველაზე უფრო ძლიერად აზეირთების ეპოქაში რუსთაველმა კაცობრიობას გადასძახა: „მიეც გლახაკთა საჭურჭელ ანთავისუფლე მონებიო“. თუ არ ქრისტიანულ მორალს, თუ არ ქრისტიანულ სათნოებას, სხვა რა ძალას შეეძლო ამგვარი შთაგონება მიეცა თვით გენიოს მოაზროვნესათვის?- თუ არ ქრისტიანული სათნოებით განმსჭვალულ ერს, სხვა რომელს შეეძლო, ამ ეპოქაში, აზროვნების ეს მიმართულება მიეღო და მისთვის პატივი ეცა?

მართალია ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მპყრობელი რუსთაველს საპრობაგანდოთაც იყენებს და ის „ლენინური ხალხთა ძმობის“, ე. ი. რუსეთის საქართველოში ბატონობის აღმსარებლად გამოჰყავთ, ხოლო მის უკვდავ ქმნილებას ღვთის მგმობელ და ათეისტურად აცხადებენ, მაგრამ ლენინიზმის, მარქსიზმის, რუსულ-მოვინისტური იმპერიალიზმის თვით პირწყვარდნილი პროპაგანდისტებიც კი, ხანდისხან ვერა ფარავენ, რომ უკვდავი ვეფხის ტყაოსანი პირველიდან უკანასკნელ სტროფამდე ქრისტიანული მორალით არის გაღეფნილი და მისი პირმშოა. ერთი ქართველი მეცნიერის განმარტებით, ვეფხის ტყაოსნის „ბუნებაზიარი“ და „სრული“ „პიროვნების ახალი ღირებულების კატეგორიებია. ეს მოწმენტი მით უფრო საყურადღებოა, რომ ჩვენ უკვე ვიცით, თუ საიდან მომდინარეობს გენტიკურად „ბუნებაზიარობისა“ და „სრულის“ გაჯრება, როგორც თეოლოგიური ცნებისა. „ბუნებაზიარობა“ — როგორც ზიარებასთან დაკავშირებული ცნება, „განსრულების თავისებური პ ი რ ო ბ ა ა. ქრისტიანული სულიერკვეთების მიხედვით, ეს არის ამ ქვეყნიერ პირობებში შესაძლებელი გზა სისრულისაკენო“ და სხ.

როგორც აღვნიშნეთ, ერის დიდება არ იქმნება მისი მრავალრიცხოვანობით, არც იარაღის ჩხარუნით, არამედ და მხოლოდ, მისი სულიერ-ზნეობრივი სიმტკიცით, სათნოებით, შემწყნარებლობით, კეთილშობილებით და მაღალ, ღვთიურ იდეებისადმი მიძღვნილობით. ეს დაანათოს საქართველოს ქრისტიანიზმმა და ჩვენმა წმინდა მამებმა, — ქრისტიანულ სათნოებასთან ზიარებით, — ჩვენი სამშობლო უძლეველ და უკვდავ ქვეყნად აქცეს.

ცხადია, ქრისტიანიზმი ყოველმა ერმა თავისებურად გიგო და შეითვისა . . .

ჩვენი მპყრობელი რუსეთიც, თითქოს, ქრისტიანულია, მაგრამ ქრისტეს მოძღვრებამ იქ ფესვი ვერ გაიდგა. ქრისტიანული სათნოება, შემწყნარებლობა, დანდობა, მათთვის უცხო ხილათ დარჩა. როგორც ბელინსკი ამტკიცებს, რუსი სამღვდელოებაც კი ანტიერეკლეციური. მათთვის ეს მხოლოდ შემოსავლის წყაროთ იქცა, რათა იოლი შრომით იცხოვრონ. ჩვენი წმინდა მამები კი საკუთარი ზურგით ეზიდებოდნენ ქვას და აგურს, რათა მონასტრები აღეგთ და ის მეცნიერების სავანეთ ექციათ.

ისიც ცხადია, რომ თვით ქრისტიანიზმმა დიდი ევოლუცია განიცადა. უკანასკნელ ხანებში რომის პაპის ახალი რეფორმები, თანამედროვეობასთან შეფარდების ცდა, ქრისტიანული მორალის თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებაზე გადამყნაა . . .

მაგრამ ქრისტიანული მორალი და მისი შინაარსი უცვლელია, იცვლება მხოლოდ მისი გამოყენების, მისი ცხოვრებასთან შეგუების ფორმა . . .

სწორედ გაგებულმა ქრისტიანიზმმა ქვეყნიერებაზე შექმნა უდიდესი პროგრესი, სულიერი და მატერიალური დოვლათი და ადამიანის დაფასება, მისი პატივისცემა.

ჩვენც ქრისტიანული გაგებით ვეგებებით „ლიტერატურული საქართველო“-ს 1969 წლის იანვრის 31 ნომერში შემდეგი განცხადება ამოვიკითხეთ: „საბჭოთა საქართველოს მინისტრთა საბჭოს ბეჭედითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს მწერალთა კავშირი ლენინის დაბადების 100 და საქართველოში ს ა ბ ჭ ო თ ა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად ხელოვნების ყველა დარგის საუკეთესო ნაწარმოებებზე კონკურს აცხადებენ. კონკურსზე წარმოდგენილი ნაწარმოებები უნდა ასახავდნენ საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხების ბრძოლას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის; ნაწარმოებებში უნდა მოსჩანდეს ლენინს საქართველოზე შეუნელებელი და დიუცხრომელი ზრუნვა. ამ ნაწარმოებთა მთავარი გმირები უნდა იყვნენ რევოლუციური მოძრაობის გმირები, მაღალზნეობრივი ადამიანები, პარტიის ერთგულნი და კომუნიზმისათვის თავდადებულნი“.

ამ ორი იუბილეს აღსანიშნავად ხელოვნების ყველა დარგის საუკეთესო ნაწარმოებებზე კონკურსის გამოცხადება გაუგონარი სადიზმია, დემონიური აქტი — ქართველი მწერლის სულიერ სამყაროს დაშლისა, მისი პიროვნების და ადამიანობის დამცირების და დაცემის ნამდვილი სურათი. იმის მაგარ, რომ ქართულმა მწერლობამ თავისი შემოქმედება ლაღად გაშალოს, მის წარმომადგენლებს დოღის გამართვას აკადებენ, რომ სახელი გაუტეხონ და გააბახონ მკედრეთით ამდგარი საქართველოს დამოუკიდებლობა. ხოლო 1921 წლის თებერვლის სუსხი, რომელს დამპყრობელმა რევოლუცია დაარქვა, ქართულმა მწერლობამ პოეტურ ემოციებში, ლამაზ სახეებათ უნდა გაშალოს. ჩვენი მწერლობის ტრაგედია ის არის, რომ იძულებულია მტრის ჰაჯაგზე ამღერდეს. ეს მტერი არა მხოლოდ მოდერნულ საკურაველში ჩამჯდარი ჯარია მოსკოვისა და მისი გადამქნელები სტენია . . . ასეთ სტიქიებს აღმოსავლეთიდან მოწოლილს შუდამ უძლებდა საქართველო თავის წარსულში.

მაგრამ ჩვენს წარსულს არ ახსოვს ისეთი საზარელი და მომშლელი ფენომენი, როგორც იყოფდა ჩვენი სახელოვანი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, რომელიც მოსკოვის ჯარისა და ტალღის უკანაა ამოფარებული. ფენომენი უცნაურად რომ გიკვირის, რათა გაგტეხოს, მოგშალოს, სიცოცხლის ყოველი ენერგია მოგტაცოს, მჩარად გაგციოს; ადამიანს რჩება მაინც იმდენი ძალა, რომ თვითონ მივიდეს და პირში ჩაუვარდეს ამ ვეშაპს, ისე როგორც მონუსხული ბაჴია მთელი ტანის ცახცახით ეუსნენებელს რომ უვარდება ხახაში.

ადამიანის სულიერ ყოფის ამ ამაფორიაქებელ ატმოსფეროში მეოთხეი საუკუნე ცხოვრობდა ჩვენი მწერლობა, ჩვენი მშობელი ერის ყველაზე უფრო მგრძნობიარე და სათუთი ბარომეტრი. ერთ დიდ ტბათ დადგებოდა ის მელანი, რომელიც პიროვნების კულტის პერიოდის მანძილზე ეგრედწოდებული ცოცხალ ფეტიშების განსადიდებლად დაიხარჯა. ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში შეიქმნა მთელი გალერეა, პრივილეგიური კასტა, დადებითი გმირებისა, რომლებიც არსებითად პატარა-პატარა ეკრანებს წამოადგენდნენ. ამ ეკრანების არც ფსიქოლოგიას, არც მოქმედებას არაფერი ჰქონდა საერთო ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანის ბუნებასთან. მათ აკლდათ მთავარი, რაც ყველაზე უფრო, უფრო ძვირფასი, სანუკვარი და მომხიბლავია ადამიანში — ადამიანობა. ეს პერიოდი ძალზე საზიანო აღმოჩნდა ქართული მწერლობისათვის.

სტალინის სიკვდილის შემდეგ ამ აუტანელ მტანჯავ და მომშლელ ატმოსფეროს მაგიური ძალა შესუსტდა, მწერლობამ, შედარებით, შვება იგრძნო. მისი საზრუნავი გახდა რეალურად არსებული ადამიანისათვის ნამდვილი სახე დაებრუნებინა, მისი ნამდვილი ზნეობრივი და ინტელექტუალური თვისებებით. ეს თავს იდვა ლიტერატურული ახალთაობის შემოქმედებამ, რომელმაც მკითხველ საზოგადოების სამართლიანი მოწონება დაიმსახურა. ლიტერატურული ახალთაობის წარმომდგენლებმა მოიტანეს სიცოცხლის სუნთქვა და უბრალო ქართველი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების შეუღამაზებელი სურათები.

დღეს კი, ლენინის დაბადების ასი და საბჭოთა საქართველოს 50 წლის საიუბილეოდ, საბჭოთა უზურპატორები აცხადებენ კონკურსს საუკეთესო ნაწარმოებებზე, სადაც ლენინი გამოყვანილი უნდა იყოს კაცობრიობის ყველაზე უდიდეს მოაზროვნედ და ფილოსოფოსად. ეს მაშინ, როცა მის ფილოსოფიურ ნაცოდვილარს ვკითხულობთ, ზხოლოდ ვამოქმნარებთ. ქართული ხელოვნების მუშაკებმა ხოტბა უნდა შეასხან ქართველი ერის „გამბედაღნერებელ“ ლენინს, უნდა აქონ და აღიდონ მისი ნაციონალური პოლიტიკა, მისი პირწყვარდნილი მაკეტებლური იმპერიალიზმი, რომელმაც ეროვნული მონობის უღელი დაადო **საქართველოს და, რაც** მთავარია, ეს უნდა გასაღდეს, როგორც ქართველი ხალხის უდიდესი კმაყოფილების გამოვლინება ლენინის მიმართ და სხვა ათასი სიყალბე და სიცრუე.

ოდესღაც რუსეთში ცნობილი იყო პატარა დაბა, ვილენის გუბერნიაში, რომელსაც სმორგონი ერქვა. სმორგონში ცხოვრობდნენ დათვების მწვრთვნელნი. ესენი საკმარისად ჩქარა ასწავლიდნენ დათვებს ერთსა და იმავე მოძრაობის განმეორებას, ბაძავდნენ მთვრალ ვლუსს, გოგონას, რომელსაც წყალი მიაქვს, ან მოცეკვავე ვლუხ-ქალს. აჭკბილ საქართველო სულ მთლად სმორგონად სურთ გადაქცეონ და წვრთნის მეთოდები, როგორც ხალხზე, ისე ხელოვნების წარმომდგენლებზე გაავრცელონ. ძალაუფლების შინარჩენების წყურვილით დაავადებულმა ხელმძღვანელობამ არ უწყის, რომ უდიდესი ქმნილებანი მხოლოდ მაშინ წარმოშობილან, როცა მათი ავტორები თავისთვის სწერდნენ.

ალბათ ჩვენშიც გამოჩნდებიან მწერლები, რომლებიც ხსენებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების თანხმობას განაცხადებენ. ბევრი გულწრფელად შეეცდება ხელისუფლების მოთხოვნა-შეკვეთა „გადაჭარბებული ერთგულობით“ შეასრულოს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში მწერლის შემოქმედება არ იქნება ნამდვილი, რადგანაც მისი მეობა შინაგან გაბზარულია.

ამასთან დაკავშირებით გვსურს ერთი ადგილი მოვიყვანოთ გრიგოლ რობაქიძის წერილიდან: „დაშლილი სული“.

„საქართველოს გასაბჭოების 15 წლისთავის აღსანიშნავად, — სწერს გრიგოლი, — გამოქვეყნდა ერთი დიდი შაირი ოთხი პოეტის მიერ შედგენილი. მათ რიცხვში პაოლო იაშვილი და ალექსანდრე აბაშელი იყვნენ. ისინი გულით იყვნენ მოწადინებული უთუოდ კარგი რამ შეექმნათ. რა გამოვიდა მერე? შაირის არც ერთ სახეში, არც ერთ სახსარში, არც ერთ ტღილში წვეთიც არ აღმოჩნდა პოეტური. გამოვიდა ცარიელი რეტორიული პროზა, მხოლოდ ლექსად დასტამბული. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორნი შინაგან არ იყვნენ ნამდვილნი“.

ეს ემართება ყველა დიდ ხელოვანს, თუ ის ხელოსნად გადაიქცევა. შემოქმედების დროს საქმე გვაქვს შეუსაბამელ, სტიქიურ პროცესთან, რომელიც მხატვრულად და მთელი თავისი სიღრმით ასახა თავის ერთ შაირში დაუვიწყარმა ტიციან ტაბიძემ:

„მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს.
ჩემი სიცოცხლე ამ ლექს თან ახლავს,
ლექსს მე უწოდე მომსკდარ ნიაღვარს,
რომ გამტანს და ცოცხალ დამმარხავს“.

ქართველი ხალხი ქვას არ ესერის მას, ვინც

შობის დღესასწაულს და ყოველ ქართველს უსურვებთ მის მაღალ მოძღვრებასთან განუზიარებლობას.

გ. ზალდასტანიშვილი

პასუხი რუქნადდინს

„ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიანისა სასოებით მოსავმან და პატიოსანი ჯუარისა მვედრებელმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისებელი წიგნი შენი . . . რუქნადდინო და ვცან სიცრუვენი შენნი, რამეთუ ბჭე ღმერთი იყოს! შენ ოჴრისა მეკრეთა სიმრავლისად მინდობილხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯუარისა წმიდისა, რომელი შენ ჰგმე! აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი წინამოგებად შენდა“.

თამარ მეფე

აგვისტოს აჯანყების 45 წლისთავი

(გადაეცა რადიო „თავისუფლებას“ მიერ)

1924 წლის 29 აგვისტო ერთერთი უდიდესი ტრაგიკული დღეა საქართველოს ისტორიაში. ამ დღეს ჩვენი ერი იარაღით ხელში გამოვიდა უდიდესი კომუნისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ვინაიდან ვერ აიტანა უსამართლობა და შეურაცყოფა, თავისუფლების ჩაკვლა, ტერორი და გადასახლება.

ვერ აიტანა, რომ მას ძალით თავს მოახვიეს მისთვის შეუფერებელი სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური სტრუქტურა. ვერ აიტანა სარწმუნოებრივი დევნა და ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა.

ცნობილია, რომ საქართველო ძველი ქრისტიანული ქვეყანაა. სარწმუნოება და ეროვნობა, საუკუნეების მანძილზე, შერწყმული იყო ერთმანეთთან. ქრისტიანი ნიშნავდა ქართველს და ქართველი ქრისტიანს. სწორედ ასეთ ქვეყანაში დაიწყო ეელური ლაშქრობა ქრისტიანული კულტის წინააღმდეგ. ის შაბლონი, რაც რუსეთში ტარდებოდა და რაზედაც ლენინი თვის დროზე აფრთხილებდა კაკაესიელ კომუნისტებს, რათა არ დაეშვათ ის თავიანთ ქვეყნებში, ქართველმა კომუნისტებმა მიიეიწყეს იგი და ფაროდან გამოიყენეს საქართველოში.

როგორც ეს სპარსელებისა თუ ოსმალების ბატონობის დროს ხდებოდა ხოლმე საქართველოში, აკრძალეს ბავშვების მონათვლა ქრისტიანული წესით; დაიწყო ეკლესიების მასობრივი დახურვა. გამოყარეს ეკლესიებიდან და მონასტრებიდან ხატები და მორწმუნეთა თვალწინ შეურაცყოფა მიაყენეს ხალხის საყვარელ წმინდანებს.

შემოიღეს საქართველოს ზოგიერთ რაიონებში ეგრედ წოდებული სასოფლო-სამეურნეო კომუნები, სადაც ერთპიროვნული წვრილი მეურნე გლეხი ძალით შეიყვანეს კომუნაში.

შემოღებულ იქმნა სოფლის მეურნეობაზე ნატურალური გადასახადი. საფინანსო და სასურსათო საქმის ცენტრალური ორგანოები არ უწევდნენ ანგარიშს გლეხურ მეურნეობის რეალურ შემოსავალს და თვითნებობით იღებნენ გადასახადს. ამავე დროს შემოიღეს ეგრედ წოდებული ნებაყოფლობითი გადასახადი, რაც ძალდატანებას ნიშნავდა. შემოიღეს სახელმწიფო მონოპოლია მატყლზე. აბრეშუმზე, არაყის გამოხდაზე და სხ.

სოფლად კომუნისტები ბრძანებლად მოეკლინნენ გლეხობას. შეიქმნა უწდობლობა პარტიულებსა და უპარტიოებს შორის, ამას არც სტალინი უარყოფს. ინ რას ამბობს ის თავის თხზულების მე-6 ტომის. 308-309 გვერდზე: „. . . სოფლად ნდობის ატმოსფერის ნაცვლად შეჰქმნეს ურთიერთშორის უწდობლობა . . . ის რაც საქართველოში მოხდა — (აქ ლაპარაკია აგვისტოს აჯანყებაზე) შეიძლება გამეორდეს მთელ რუსეთში, თუ ჩვენ ძირითადად არ გარდავქმნით გლეხობასთან დამოკიდებულებას, თუ ჩვენ არ შევქმნით ნდობის ატმოსფეროს პარტიულებსა და უპარტიოს შორის“.

ვერ მოგვარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და სამრეწველო საქონელს შორის ფასების მტკიცე პოლიტიკის გატარება. გლეხის ნაწარმი იაფად ფასობდა, ხოლო ქალაქის კი, ძვირად. გლეხს არ შეეძლო ამ ფასებით საჭირო სამრეწველო საქონლის შეძენა. გლეხს არ გამოაქვს თავისი ნაწარმი ქალაქში და სხვ.

და რაც მთავარია, ქართველმა ერმა ვერ აიტანა დემოკრატიული რესპუბლიკის მოსპობა, რომელიც შექმნილი იყო მთელი ქართველი ერის სურვილით 1918 წლის მაისის 26-ს, რომლის მეოხებით საქართველო თავისი სახით, თავისი კულტურით, თავისი ისტორიით, როგორც თანასწორფლებიანი და თავისუფალი ქვეყანა, შეეიდა მსოფლიო თავისუფალ ქვეყნების საერთო ოჯახში.

სანამ ქართველი ერი ამგვარ საბედისწერო ნაბიჯს გადადგამდა, სანამ იგი იარაღს აიღებდა, სამი წლის განმავლობაში მიმართავდა ყველა ხერხსა და ღონეს, მანიფესტაციები, მიტინგები, მოლაპარაკებები — ყველაფერი იქნა გამოყენებული. საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას მისცეს ასეთი წინადადებანიც კი: ჩატარებულ იქნეს სახალხო დაკითხვა და თუ მათი ერთი მესამედიც კი მხარს დაუჭერს კომპარტიის ხელმძღვანელობას, ყველა პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მაშინ არალეგალურად მუშაობდნენ, შეწყვეტავდნენ ყოველგვარ ბრძოლას კომუნისტური რეეიმის წინააღმდეგ. ეს რა თქმა უნდა არ მიიღეს, ვინაიდან მათ კარგად იცოდნენ, რომ ხალხი მათ მხარს არ დაუჭერდა.

ამის შემდეგ ხალხი აჯანყდა დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელმძღვანელობით. 29 აგვისტოს ხალხმა განაიარაღა მთელი ადგილობრივი ადმინისტრაცია. აჯანყების პირველი დროშა ჭიათურის მეშახტეებმა აიფრიალეს. ღამის ორ საათზე გაისმა პირველი გასროლა და მთელი ჭიათურა და მისი მახლობელი სოფლები აჯანყებულების ხელში იყო. ასევე მოხდა საქართველოს სხვა რაიონებშიაც. ამგვარად, თითქმის მთელი საქართველო, აჯანყების პირველსავე ღღეს განთავისუფლდა კომუნისტური ხელისუფლებისაგან. საქართველოს ყოველ კუთხეში ხალხი ეტრფოდა თავისუფლებას. ვერ იქნა აღებული მხოლოდ ტფილისი, სადაც იდგნენ წითელი არმიის მნიშვნელოვანი ნაწილები. ეს სახალხო აჯანყება ჩაჭრილი იყო მხოლოდ საბჭოთა არმიის რეგულარული ნაწილებით — ქართული შენაერთი, როგორც არასაიმედონი, ხელისუფლებამ გამოიყენა მწყობრიდან. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ დაიწყო მასობრივი (ე. ი. მასიური — რედ.) დაპატიმრებები, დახვრეტები, გადასახლებები, არა მარტო აჯანყების ხელმძღვანელებისა, არამედ აჯანყებული უბრალო მონაწილეებისაც კი.

თვით ამ აჯანყების არსი სასამართლოს წინაშე სწორად დაახასიათა დამკომის თავმჯდომარე კოტე ანდრონიკაშვილმა. მან თავის საბოლოო სიტყვაში სასამართლოში სთქვა: „ჩვენ დავმარცხდით. ქართველი ერი დამარცხებული იქნა ფიზიკურად, მაგრამ მორალურად გამარჯვება ჩვენ დავიჭრაო“.

საქართველოში, აგვისტოს აჯანყების შემდეგ, კომუნისტურმა პრესამ დაიწყო პროპაგანდა, რომელიც აგვისტოს საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებას ნათლავდა ხან „ქართველი თავად-აზნაურობის“ გამოსვლად, ან კიდევ „მეწმენდეების აეანტურისტულ“ გამოსვლად, რომ აჯანყებისათვის მიეცათ მხოლოდ პარტიული ბრძოლის და არა სახალხო აჯანყების ხასიათი; ანდა კიდევ „სამოდელოების გამოსვლათ“, რომ ეს სახალხო მოძრაობა დეეხატათ „რეაქციონური“ ფერებით.

პირიქით, აგვისტოს აჯანყება იყო ეროვნული და სოციალური რევოლუცია, შეიარაღებული გამოსვლა მოლიანი ქართველი ერისა, კომუნისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დემოკრატიული წესწყობილების აღდგენის მიზნით.

1924 წლის 29 აგვისტოს აჯანყება დამარცხდა, მაგრამ დარჩა მისი რაინდული, უძლეველი სულისკვეთება. ეს სულისკვეთება კი გამოამეღვნენ ქართველმა ახალგაზრდობამ 1956 წლის მარტის დემონსტრაციების დროს ტფილისში . . . რასაც მოჰყვა აგრეთვე საგრძნობი მსხვერპლი.

თავი მოვიბაროთ მამულიშვილების საპატივცემლოდ, რომლებმაც თავი შესწირეს თავისუფლების საქმეს.

***

გივი ზალდასტანიშვილის ჩვენება-მოსსენება აშშ-ს კონგრესის კომიტეტში

როგორც წინა საუბარში აღვნიშნე, პატივცემულო მსმენელებო, ჩემი ნიუ-იორკში ყოფნისას, ქართული კოლონიის თავმჯდომარემ ამერიკის შეერთებულ შტატებში — გივი ზალდასტანშვილმა — გადმომცა ერთი დაბეჭდილი წიგნაკი, რომლის სათაურია: „The Crimes of Khrushchew“, ქართულად — „ხრუშჩოვის ბოროტმოქმედებანი“. ეს წიგნაკი გამოცემულია, ინგლისურ ენაზე, ვაშინგტონში, 1960 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ე. წ. „არაამერიკული მოქმედებათა კომიტეტის“ მიერ. ეს კომიტეტი იხილავს ყოველ არაამერიკულ მოქმედებას ამერიკაში, აგრეთვე ყოველ ბოროტმოქმედებას უმთავრესად მოსკოვისა და, საერთოდ, კომუნარტების ხელმძღვანელობისა, ჩადენილ ამა თუ იმ პირის, ან ერის წინააღმდეგ. ეს კომიტეტი შესდგება ცხრა წევრისაგან. როგორც ამ წიგნაკშია დაბეჭდილი, 1960 წლის 8 იანვარს, პარასკევს, „არაამერიკული მოქმედების კომიტეტის“ სხდომის წინაშე — ვაშინგტონში. კონგრესის წარმომადგენლების პალატის ძველ შენობის 226 დარბაზში. — წარსდგა ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ამერიკის შეერთებულ შტატებში — გივი ზალდასტანშვილი და დოკუმენტი გიორგი ნაკაშიძე — ჩვენებების მისაცემად იმაზე, თუ რა ბოროტმოქმედება ჩადიან ხრუშჩოვმა საქართველოში. განსაკუთრებით 1956 წლის მარტში. „არაამერიკული მოქმედების კომიტეტის“ სხდომას თავმჯდომარეობდა დეპუტატი — ფრანსის ე. უოლტერი, — პენსილვანიის შტატიდან; კომიტეტის წევრებია — დეპუტატი გარდნერ ჰ. შერერი, ოჰაიოს შტატიდან, რიჩარდ არსენი. ფულტონ ლევინი და სხვები. კომიტეტის თავმჯდომარემ — ფრანსის ე. უოლტერმა. — ჯერ დაადგინა ჩვენი თანამემამულეები — გივი ზალდასტანიშვილი და გიორგი ნაკაშიძე კომიტეტის წინაშე, და შემდეგ მიიღო გივი ზალდასტანიშვილის პიროვნების დახასიათება. შემდეგ მისტერ ფულტონ არენსი ეკითხება:

„გთხოვთ, ბატონო ზალდასტანო. მოკლედ გვითხრად, რას წარმოადგენს საქართველო საბჭოთა კავშირში“?

გივი ზალდასტანიშვილი პასუხობს:

— „საქართველო, ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა ქრისტიანულ მსოფლიოში, რომლის ისტორია ხეთებისა და ასურების ცივილიზაციის დროინდელია“. შემდეგ გივი ზალდასტანიშვილი ლაპარაკობს საქართველოს ისტორიაზე, მოსახლეობაზე, ტერიტორიაზე და ბოლოს, მისტერ არენსის თხოვნით, თავისი ბიოგრაფიული ცნობების მიცემისას, სხვათა შორის, გივი ზალდასტანიშვილი ამბობს:

— „მე დავიბადე 1919 წელს თბილისში. საქართველოს დედაქალაქში. ჩემი დაბადების დროს, საქართველო იყო დამოუკიდებელი რესპუბლიკა. 1921 წელს საბჭოთა რუსეთი დაესხა თავს საქართველოს და ცხარე ბრძოლების შემდეგ, რომელიც გაგრძელდა ექვსშვიდი კვირა. საქართველოს არმია დაამარცხა. ამ დროს საქართველოს კანონიერმა თავრობამ დატოვა საქართველო და შეაფარა თავი საფრანგეთს.

1924 წლამდე ჩემი ოჯახი დარჩა საქართველოში. მამაჩემი, რომელიც იყო საქართველოს არმიის პოლკოვნიკი, იყო ერთერთი ხელმძღვანელთაგანი 1924 წლის ქართველი ხალხის ეროვნული აჯანყებისა და როცა აჯანყება მარცხით დამთავრდა, მამაჩემი მთელი ოჯახით წამოვიდა საქართველოდან და თავი შეაფარა პარიზს“.

მისტერ არსენის თხოვნით, ჩვენი თანამემამულე — გივი ზალდასტანიშვილი, შემდეგ „არაამერიკული მოქმედების კომიტეტს აძლევს ჩვენებას ხრუშჩოვის ბოროტმოქმედებების შესახებ საქართველოში, 1956 წელს. ზალდასტანიშვილმა განაცხადა:

— . . . „მე მსურს მოვიყვანო ბოროტმოქმედების ცნების განსაზღვრა უებსტერის სიტყვარიდან: — „სამოქალაქო უფლებების უხეში დარღვევა“ — ესაა ბოროტმქმედება. „ეს უფლებები — ნათქვამია შემდეგ ამ წიგნაკში — უგულებელყოფილი და უხეშად დარღვეული იქნა ხრუშჩოვის მიერ თბილისში. საქართველოში. 1956 წლის მარტში“. ჩვენმა თანამემამულემ — გივი ზალდასტანიშვილმა — შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების კომისიის წინაშე განაცხადა:

„სტუდენტთა და ახალგაზრდა მუშების დემონსტრაციები ვიმართა თბილისში 1956 წლის მარტში . . . 9 მარტს ეს მშვიდობიანი დემონსტრაციები საბჭოთა ხელმძღვანელებმა სისხლში ჩაახვეს . . . მოყვანილ ჯარებს მისცეს ბრძანება გაეხსნთ ცეცხლი დემონსტრანტებისაგან. დემონსტრანტების მონაწილეებმა აიღეს კომპარტიის ზოგიერთი შენობა, პრესის სახლი, კავშირებმულობის სახლი, რომ კავშირი დაემყარებიათ გარე მსოფლიოსთან.

როცა ცეცხლი გახსნეს სალდათებმა, დემონსტრანტებმა შეეცადეს ქუჩებში ბარიკადების აშენებას, რომ ჩაეკეტათ ქუჩები. ამ დროს გამოჩნდნენ ტანკები . . . მოკლულ იქმნა 600 კაცი“. „მოკლულთა გვამები არ დაუბრუნებიათ ჭირისუფლებისათვის“.

მისტერ არსენის შემდეგ შეკითხვაზე — ხომ არ იყო სტუდენტების დემონსტრაცია თბილისში. 1956 წლის მარტში, პროსტალენური დემოსტრაცია? — ჩვენმა თანამემამულემ — გივი ზალდასტანშვილმა უპასუხა:

„არავითარ შემთხვევაში . . . მოგვიანებით. 1956 წლის 24 მარტს, თვით ბაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ განაცხადა, რომ ქართველი სტუდენტები განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ საქართველოს დიდი და ძველი ისტორია აქვს, როკა საქართველო, როგორც სამეფო, დამოუკიდებელი იყო; და რომ ისინი ნაციონალისტურად არიან განწყობილნი. იმავე ბაზეთში იყო ნათქვამი, რომ „აროულობის დროს ზოგიერთმა დემონსტრანტებმა გადმოისროლეს აკრძალული და არალეგალური ნაციონალისტური ლოზუნგებიო“

შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის კომისიის წევრმა — მისტერ არსენმა შეეკითხა ჩვენს თანამემამულეს — გივი ზალდასტანიშვილს — თუ არსებობს რელიგიის თავისუფლება საქართველოშიო?“

გივი ზალდასტანიშვილმა უპასუხა:

— „საქართველო ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა . . . 1922 წელში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა — ამბროსიმ — აღნიშნა, რომ საქართველოში მაშინ იყო 1500 ეკლესია. სხვათა შორის, როცა კათოლიკოს-პატრიარქი — ამბროსი — დაიჭირეს პარტხელმძღვანელებმა და სასამართლოში მისცეს, მან განაცხადა:

„ჩემი სული ეკუთვნის ღმერთს, შემი გული საქართველოს და ჩემს ცხედარს რაც გინდათ ის უქენითო!“

(ნეტარხსენებული კათოლიკოს-პატრიარქის მოყვანილი სიტყვის სწორი ფორმაცია ასეთია: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული სამშობლოს და გვამი თქვენი იყოს და რაც გინდათ ის უყავითო“-ო. რედ.)

დღეს თუ რამდენი ეკლესიაა საქართველოში, ამას ჩვენ ვიგებთ „ნიუ-იორკ-ტაიმსის“ კორესპონდენტისაგან — ჰარისონ ე. სელსბურისაგან, რომელმაც 1951 წელს ესაუბრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს — კალისტრატს, რომელმაც აღნიშნა, რომ მაშინ საქართველოში მხოლოდ 100 ეკლესია იყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატეც დაუპატიმრეს და გარდაიცვალა ციხეში . . . როგორც ხედავთ, საქართველოში არ არსებობს რელიგიის თავისუფლებაო!“ — დასძინა გივი ზალდასტანიშვილმა.

აი ზოგიერთი ამონაწერები იმ წიგნაკიდან, რომელიც გამოსცა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ე. წ. „არაამერიკული მოქმედების კომიტეტმა“. ვაშინგტონში, 1960 წელს და რომელშიც აღბეჭდილია ფაქტები, რომლებიც ღაღადებენ იმაზე, თუ რა ბოროტმოქმედება ჩადიან ხრუშჩოვმა და მისმა თანამებრძოლებმა საქართველოში 1956 წლის მარტის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების საყოველთაო დემონსტრაციების დროს. ქართველების მხრიდან, კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ამ კომიტეტში მიწვეული იყვნენ — ჩვენი მანამემამულე, ქართული კოლონიის თავმჯდომარე ამერიკის შეერთებულ შტატებში — გივი ზალდასტანშვილი და პროფესორი გიორგი ნაკაშიძე. ჩვენ განზრახული გვაქვს, პატივცემულო მსმენელებო, ამ დოკუმენტის სრული ტექსტი გაგაცნოთ ჩვენს მომავალ გადაცემებში.

***

შენიშვნა:

„ქართული აზრის“ რედაქციამ ზემო მოყვანილი გადაცემის გამო მიიღო ხუთი წერილი. აქედან ოთხი ევროპიდან. ყველა აღვსიანა საყვედურით. შეიძლება ამ წერილების ავტორებმა არც იციან, თუ რა დაპარკალებებთან უხდებათ შებრძოლება რადიო თავისუფლების ქართველ თანამშრომლებს და ძრაველთა შორის ამ უკანასკნელმა გადაცემამ განსაკუთრებული გულისწყრომა დაიმსახურა! ჩვენ ვიცნობთ ამ დაწესებულების შინა ვითარებას და ამიტომ ბევრ რამეს თვალს ვარიდებთ . . .

მიუხედავათ ჩვენი დიდი თანაგრძნობისა. დღეს მაინც, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე უხერხულობა აღენიშნოთ, რათა შემდეგისათვის თავიდან ავიცილოთ ქართული საზოგადოების განშტოებისა და ერთიმეორესადმი დაპირდაპირების მომენტები.

უპირველეს ყოვლისა, ვინც 1924 წლის აჯანყების შეფასებას მოინდომებს, ის უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი გავლენისაგან: ჯგუფური, პარტიული, წოდებრივი, თუ სხვა . . .

1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილენი და მსხვერპლ გაღებულნი ჯერ კიდევ სხეულებრივად განიცდიან ჭრილობებს და იარები მოუშუბავთ არ არის. ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა იარის გადაქექვით გამოწვეულმა ტკივილებმა ადამიანი არ მიიყვანოს სიმკაცრემდე, ვიმეორებთ, თუ შექმნილ ვითარებაში შეუძლებელია აჯანყების უტყუარი სურათის ასახვა. საკმაო მას სულ არ შევეხოთ, ვიდრე მსმენელებს შორის უკმაყოფილება წარმოვშვათ.

პატივცემული კომენტატორი ჩამოთვლის რა აჯანყების მიზეზებს, კატეგორიულად აცხადებს: „ეს იყო ეროვნული და სოციალური რევოლუციაო“. აჯანყების, როგორც ფაქტური, ისე ისტორიული პერსპექტივით ეს არის უდიდესი შეცდომა. ჩვენი ბრძოლებიდან სასვენებელ გამორიცხული იყო ყოველგვარი სოციალური მომენტი. თვით მუშათა დელეგაციამ საოკუპაციო რეჟიმის მთავრობას მიართვა, არა „რვა საათიანი სამუშაო დღე, არა შრომის პირობების, ან ხელფასის გაუმჯობესება“, არამედ თან მოიითხოვეს საქართველოდან საოკუპაციო რუსის ჯარის გაყვანა. ეს იყო და დარჩა ქართველი მუშის მაღალ ეროვნული და პატრიოტული შეგნების გამომჟღავნება. ხოლო აჯანყების გამომწვევ მიზეზებს შორის ეკონომიური სიღარეტენის ჩართვა სულ აზრის უკარგავს მის მაღალ ეროვნულ გამოვლინებას. ყველას მოეხსენება, რომ საბჭოთა ტირანიის ეპოქაში ეს იყო ე. წ. ნეპის პერიოდი და ეკონომიური მოტეითი აჯანყების ახსნა გაუმართლებელია . . . ასევე საზღვარ გადასული, დაუმსახურებელი და ამაღელვებელია, რომ „აჯანყების პირველი დროშა ჭიათურის მეშახტეებმა აფირიალეს“. ეს საკითხი იყო და დარჩა საყოველთაო ეროვნული აჯანყების შავ ლაქად. სოციალ-დემოკრატების პასუხისმგებელი წევრები მისგან იმიჯხენდნენ და პარტიული დისციპლინის

სიტყვა თქმული თელავში სუფრასთან

როგორც მომტეტებული ჯარი და მწუხარება, ისე უზომო და გადაჭარბებული სიხარული ზშირად ენას უბამს კაცს და უნებურად აღფრთს. სწორედ ამ მდგომარეობაში გახლავართ ამ ჟამად, და მადლობა ღმერთს, რომ ეს ასეა, თორემ მეასედთაც რომ შემეძლოს იმის გამოთქმა, თუ რა სიამოვნება მარგძნობინა კახეთმა, მაშინ თქვენ ან პირ-მოთნეობად მიიღებდით ჩემს სიტყვებს, ან სიგიჟეთ ჩამითვლიდით და ორივე შემთხვევაში კი შემცდარი იქნებოდით. სწორეთ აღტაცებაში ვარ კახეთისგან და მხოლოდ ეს კი მკბენს გულში, რომ ეს მშვენიერი მხარე მისთანა მდგომარეობაში ვერ არის, როგორც ეკადრება. ამას მე არავის სასაყვედურედ არ ვამბობ!.. ეს მიიტანა აუცილებელ ისტორიულმა მიზეზებმა: უხსოვარ დროთგანვე ამ მშვენიერ ქვეყანას ურიცხვი მტერი ყოველს კუთხით მონავრად ეხვეოდნენ. ამის გამო ჩვენი წიაბპრების გრძნობა-გონება მხოლოდ იმაზედ უნდა ყოფილიყო მიქცეული, რომ მტერი არ შემოშვათ და ეს კიდევაც საკვირველად აღასრულეს... გუჯეთეს საქართველოს სიმაგრეები და საკუთარის ძვლების გალავანი შემოაკეს!..

ბეგრისაგან მესმის აქ კახეთის მიწების ქება: — ისე მდიდარია, რომ რამოდენიც უნდა გადაამბარონო არ იღლებაო. — მე ეს არ მიკვირს, ეს ყველგან ასეა ჩვენში. ჩვენ სამშობლოში მისთანა ადგილნდა ფეხს ვერ დაადგამთ, რომ ჩვენის წინაპრების ძვლებით არ იყოს გაპოხიერებული და მათის სისხლით დამბალი, — ისე ლუკმა პურს ვერ ჩაიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგყვეს და წვეთ ღვინოს ვერ ჩაყლაპავთ ისე, რომ შიგ ჩვენი თავგანწირული მგრძნობი სისხლიც არ ეროოს! ეს ლუკმა და წვეთი არიან ჩვენი „წმიდა-წმიდათა“, ზიარება ჩვენთვის. რომელიც სიწმიდითა და სასოებით უნდა მიეღოთ ხოლმე და გვაგონებდეს წინაპართ ღვაწლსა, და ჩვენც ისევე გზით მივმართვოდეთ, რა გზითაც მათ უვლიათ, მხოლოდ დროების შესაფერისათ კი: თუმცა ხმალ-დახმალ დღეს აღარ გვეხვევინან მტრები ყოველს კუთხით, მაგრამ მშვიდობანობა კი მაინც არსად არის და ბრძოლა საჭიროა. მაგრამ, ბრძოლა უფარ-ხმალო, სადაც ნაცვლად სისხლისა პატიოსანი ოფლი და ცრემლი უნდა ღვრებოდეს. მაშასადამე საჭირო არიან მეომარი-გმირი-მამულიშვილები. ისევე გრძნობითა და გონებით სრულნი, რა გრძნობითა და გონებითაც ჩვენი წინაპრები იმსჭეალებოდნენ.

შენიშვნა.

(დასაწყისი იხ. მეორე გვერდზე)

მსხვერპლი. გიორგი წერეთელი ისე განვიდა ამ სოფლიდან, რომ ეს საიდუმლო თან ჩაიტანა. დღეს რადინ თავისუფლების კომენტატორი კვლავ ანახლებს ამ საკითხს, რომელიც თავის ტროფზე შეიწირა დიდი დრო. ენერგია და რომელმაც ქართულ ემიგრაციაში შეიტანა შფოთი და მღელვარება. თანამედროვე პოლიტიკურ მოვლენათა ვითარება იმპერატიულად გვიბრძანებს ერთობას, მთლიანობას და გაერთიანებული ენერგიით შინ შემოჭრილი მტრის გამკლავებას. ამიტომ ჩვენ ვთხოვთ არა მარტო კომენტატორებს, არამედ რუსული ჰეგემონიის ე. წ. „პარიზის ბლოკის“ ქართველ ბუდებს მტკივნეულ საკითხებს დიდი სათნოებით შეეხნენ და ნუ აიძულებენ საზოგადოებას შინა ჭიდილში დაქსაქსონ ენერგია.

აღარას ვიტყვით უფრო ადრინდელ გადაცემებზე, რომელიც ეხებოდა ოსსებს დავთაშვილს, ან ავადმყოფური ფანტაზიით შეთხზულ „ფაქტებს“ ეს კომენტატორების გულნებგანწყობილების საქმეა. თუმცა მავნე, მაგრამ მაინც მათი კომპეტენციის საკითხია.

რაც შეეხება ამავე ნომერში გამოქვეყნებულ მეორე გადაცემას: „გივი ხალდასტანიშვილის ჩვენება-მოხსენება“-ს და სხ. ესეც კომენტატორის გულნებგანწყობილების საქმეა. თვით ბ-ნ გ. ხალდასტანიშვილს კი მეტად ძმიმე მდგომარეობაში აგდებს და იძულებული ვართ განვაცხადოთ, რომ შეერთებული შტატების მიერ გამოცემულ ბროშურის პირველსავე გვერდზე აწერია თუ ბ-ნი გ. ხალდასტანიშვილი ვისი სახელით წარსდგა სენატის კომისიაში და რა მოვალეობას აღასრულებდა იმ დროს. 1960 წელს სათვისტომოს თავმჯდომარე სულ სხვა პიროვნება იყო და ბ-ნ ხალდასტანიშვილს ექნება უხერხული მდგომარეობა, თითქოს მან სხვისი თანამდებობა მიიკუთვნა და იმ დროს სათვისტომოს მიერ გაწეული მეტად ნაყოფიერი შრომა მიისაკუთრა.

ბროშურა, რომელზედაც ლაპარაკია, ხელთა ჰქონია კომენტატორს, იქ კი ძალიან გარკვეულად სწერია. არა სათვისტომოს თავმჯდომარე, არამედ ეროვნული ერთობის ეიკეი პრეზიდენტი გ. ხალდასტანი წარსდგა სენატის წინაშე.

მ. სინდიკელი

ეს სურვილი რომ თვითეულს თქვენთაგანში აღძვრილა, ამას იმითი ამტკიცებთ, რომ მცირე რამესაც უზომო ფასსა სდებთ: ეს პატივისცემა, რომელსაც მე ვხედავ, და ის სიტყვები, რომელიც მესმის თქვენგან, ამტკიცებენ ერთის მხრით თქვენს სტუმართ-მოყვარეობას და მადლიერ გულს და მეორით იმას, რომ თქვენ გენატრებათ გაყვედეთ ნამდვილი მამულიშვილები და ამის გამო მათს „ჩრდილოელებსაც“, ე. ი. მე და ჩემისთანებსაც არ ივიწყებთ და წინამორბედთ შეჰხარით. მადლობით და სიხარულით პატიჟს ვცემ ამ თქვენს გრძნობას! — არ შემიძლიან წინაადგდგომა გაგიწოოთ საზოგადოთ, მხოლოდ ერთ რამეს კი ვერ შეგარწმენ, ბრძანებთ: „ღმერთმა ქნას შენ და შენისთანები მომავალშიც ბევრი გვყოლოდესო“. ამის წინაადგდგომელი ვალდებული ვარ მოგახსენოთ, რომ, — ღმერთმა ნუ გაამართ�eულ ეგ თქვენი თხოვნა! — ეგ ხომ წყეული იქნება?! რასაც დღეს ვკერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმე... ჩვენი დრო მოითხოვდა, ხანგრძლივის უკეთმართობის შემდეგ, პირველი ნაბიჯის წინ სწორად წადგმას, — რომ მითი ის აზრები აღძრულიყო ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ამ ოცის წლის წინეთ, როგორც ბატონი როსტომაშვილი ბრძანებს, ყველას ეუცხოვებოდა, და დღეს კი თვითეულს თქვენგანს გულშიაც ჰღვივის.

როდესაც დროზედ მამალი ჰყივის, მუშაკი იღვიძებს მის ხმაზედ და მიდის სამუშაოდ: ზშირად პატარა ფინია, ერთის დროზე შეაღფილი, ძლიერ მპარავსა და ავაზაკს, შეშინებულს, უკუ აბრუნებს ხოლმე. ჩვენი ღვაწლიც სწორედ ამ გვარივე იყო და დღეს სიხარულით ეხედავთ, რომ სურვილი არ დაგელუტვია: ხალხი გამოღვიძებულია და მტერი შეშინებულია! ერთი ბიჯი გადადგმულია! რაც ჩვენ წვა და დაგვით მიგვიღია, რაც სისხლის ოფლით და მწარე ცრემლებით მოგვიპოვია, დღეს იმას ჩვენ სიხარულით და ადვილად გადავსცემთ შემდეგ დამს და იმიტომაც შემდეგი დამისაგან მეტს მოვითხოვთ და მამულისშვილობაც მით მეტი უნდა გამოიჩინონ! ჩვენისთანაობა თან აღარ შეჰფერისთ და ჩვენი ხელობა აღარ არგებსთ, მომავალმა დრომ უნდა მოგვცეს ნამდვილი მამულისშვილები ყოველის უხაკლულოდ

ძველადაც, სახოგადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრები თავ-განწირულ მამულისშვილობით ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან და მომავალშიაც იმედია, თქვენნი შვილები თავის განაქმეულ წინაპრებს არ ჩამოუვარდებიან. ჩვენ დროსაც მეთაური და მოწინავე იყო თქვენივე შვილი ილია ჭავჭავაძე, რომელსაც დარწმუნებული ვარ ყოველი თქვენთაგანი სიამოვნებით და აშარტავნობით იგონებს და რომლის სადღეგრძელოსაც ეხლა მე გიიაწლები, იმედი მაქვს თქვენივე თანხმობით.

ვისუყვოთ, რომ მალე გამრავლებულიყოს ჩვენში ნამდვილი მამულისშვილები! და ეს ადვილად ასრულდება , თუ კი ჩვენი დედები მოინდომებენ და თავის პაწაწა შვილებს, ერთად ძუძუსთან შეაწოვებენ მამულის სიყვარულს და ერთგულობას. და თუ მამებიც უფრო სწორ განათლების გზაზე დააყენებენ, რომ იმათ სწავლას, უცხოობიდან გამოსულს, საძირკველად ექნნეს ჩვენის ცხოვრების წარსული, აწმყოზედ დაკავშირებული, და დიდებული ტაძარი ჩვენის ცხოვრებისა გაახლდეს. ჩვენის ქვეყნის წარსულ ცხოვრებაში უპირველესი ადგილი უჭირავთ საზოგადოდ დედებს და განსაკუთრებით კახელ ქალებს. თვით უპირველესმა ჩვენთვის მოღვაწე დედამ, წმინდა ნინომ, კახელი ქალები გამოირჩია ტოლ-ამხანაგებად, აქ გადმოსახლა და აქაურ დედებს ძეგლად ფა სახსოვრად დაუტოვა თავისი საფლავი. იმედია რომ აწინდეგი დედებიც, ძველ დედების მიბაძვით, შეუდგებიან ქვეყნის სამსახურს და შვილების სამაგალითო ზრდას!.. ღმერთმან მოგასწროთ იმ დროს, თქვენი შვილები ქვეყნის სასახელონი გამოსულიყვნენ და მითი თქვენი შობლობაც ხალხთაგან კურთხეული იყოს. მაშინ. სწორედ მაშინ გაიშლის გულს საბრალო ჩვენი, დღეს დაჯავრებულები ქვეყანა და ყოველის კუთხიდ გაისმის „ვარხალალო“ აღტაცებულის სიტყვებით: „ისა სჯობს მამფილისათვის, შვილი რომ სჯობდეს მამასო!“.

აკაკი

თელავი. 1882 წლის 17 აგვისტო.

***

სიტყვა, თქმული დიმიტრი ბაქრაძეს დასაფლავებაზე

საზოგადოდ ჭეშმარიტების სამსახური დიდი ღვაწლი არის და ნამეტურ ჩვენში, სადაც ჭეშმარიტება, და უფრო ისტორიული ჭეშმარიტება, მეტად მივარდნილი და დავიწყებულია. საუკუნეთა წყვდიადი, რომლითაც გარემოცული იყო ისტორიული სიმართლე ჩვენის წარსული ცხოვრებისა, ამან გაარღვია. ის ძალი, რომელიც ამან შეიტანა სიმართლის კვლევაში, გამოითქმოდა იმ სულის სიმხნით და ახოვნებით, რომელიც ემოსა მის სიყვარულს და ტრფიალებას თავისი ერისადმი. პირველად შებედა შესვლა ამ ჟამთა უკუნში, აღმურვილმა მეცნიერებით და მამულისშვილობით.

ჩვენი ქვეყანა, მრავალ ჭირგამოვლილი, აწინდელთა შვილთა თვისთა მიერ ვერ იყო ღირსეულად შეგებული. ევროპიელნი ან სულ არ გვიცნობდნენ, ან გვიცნობდნენ მრუდედ და შემცდარად. მრავალი სახელი ჩვენის სამშობლოსი ძველთაგან აკიდნდა ბევრს საჩინო მეისტორიეს. დღეინდელნი მეცნიერნი, არა მცოდნენი ჩვენთა წერილთა და წყაროთა, უარსოყოფიან უყურებდნენ ჩვენს საისტორიო გონებითს განვითარებას, საისტორიო დიდებას.

აი, ამ მეცნიერთა კითხვას ამან უპასუხა არა წერით მხოლოდ, არა ფრაზებით და პოლემიკით, არა... ამან ალაპარაკა ქვები. ალაპარაკა საფლავები, ალაპარაკა ნანგრევები და ამით თუმქვეშნა უტყუარი პასუხი ჩვენის წარსულის სამართლისა, რომელსაც ევროპითარი შაშარი საისტორიო კრიტიკისა ვერ შეარყევს. ეს იყო გმირი, მაგრამ როგორი?.. ღვთის მადლით, ახლა ჩვენში სამხედრო გმრობა ისე საჭირო აღარ არის, როგორც ძველად. ახლა არის საჭირო გმირობა სამოქალაქო; არის საჭირო და სანდელოკ, რადგან სამოქალაქო გმირობა არის განუწყვეტელი, დაუძინებელი ომი უმეცრებასთან, სიავეესთან, სიცრუეესთან. ამ ბრძოლას უნდა მთელი სიცოცხლე, და ამ მოღვაწემ, ვინც ეს არის ახლა ჩაგვისვენდა საფლავს, მოანდომა თავის პატიოსანი გრძნობა, მრავლის მცნებელი გონება, მტკიცე ხასიათი, სრული თვისი არსება და სიცოცხლე.

ეს იყო არა თუ კავშირი ევროპის მეცნიერებასა და ჩვენს საისტორიო სიმართლეს შუა. — ეს იყო კავშირი ჩვენს წარსულსა და მომავალს შუა. მიმდინარეობა ჩვენის ისტორიისა, მოწამებრივი და თან დიდებული სრბა გონების და ზნეობის წარმარტებისა, იყო დაუცადებელი: ეს არაოდეს არ შეწყვეტილა, მიტომ რომ ეს არის სული ისტორიიან გამოკვეულნი ერისა; ვერ შეწყვეტა ეს კავშირი ვერც ხმალმა და თოფმა, ვერც შემოსევამ და განატაცებამ, ვერც მედგარმა მუსვრამ, ვერც სისხლის ზღვამ... ვერაფერმა.

მხოლოდ ამ ბოლო დროს ისე შესუსტდა წარსულისა და აწმყოს შორის ეს შემაერთებელი კავშირი, რომ თითქო გაწყდომას აპირებდა, — რამოდენიმე წვრილ ძარღვზეღა ეკიდა. ეი, სწორედ ამ დროს უნდოდა სიგმირე და კიდევ დაიბადა ეს გმირი ჩვენის წარსულის სვის მკვლევრად და მახარობლად და შეიქმნა „ეზად და ხიდათ“ წარსულსა და აწმყოს შუა. წარსულის სიმართლეზედ დგას აწმყო და მომავალი სიმართლე: თუ რომ საძირკველი გარდარულთ ჟამთა ისტორიისა უტყუელს სიმტკიცეზედ არის დამყარებული, მაშინ დღეინდელი დღეც ნათელში იქნება და ხვალინდელიც — საიმედო. ძირდაკარეული ერი უნიადაგოა და მომავლის შენობას ვერაფერზედ დაამყარებს. აი, ეს ბინა, ეს საფუძველი, მრავალთა საუკუნეთაგან გამოქედილი და გამოწდობილი, მისცა ჩვენს საერო ისტორიის ცოდნას და თვალის წინ აღგვიდგინა დიდებული სახე წინაპართ სიქველისა. ამან გასწმინდა ისტორია ზღაპრისა და იგავისაგან და დაამყარა მარტო სიმართლეზე — სარწმუნო ფაქტებზე.

თვით იგი იყო თავდაბალი, წყნარი, წრფელი, ერთგული მუშაკი, თავდადებული მოღვაწე. ეს დიდებული მაგალითი, ეს საჩინო სახე ნამდვილ მეცნიერისა და ღვიძლის ქართველისა, საიდან მიითვისა, სად ისწავლა ამან? აქა და ახლა? არა! ეს თვისებანი ჩვენში ახლა არ ისწავლება... ეს ისწავლა ჩვენი სასიქადულო წინაპრებთან საუბარში, დიდებულ ნაშთთა მუსაიფში და სახელოვანთა გმირთა შესწავლაში. აი, ამ საისტორიო მოღვაწეთა მოძღვრებამ შექმნა ის სკოლა, რომელმაც აღზარდა მაღალი სული, წმინდა ზნეობა და დაუშრომელი ღვაწლი ამ მშვიდობიანის მოსაქმისა.

ეს საფლავს ჩასვენებული მზე, მანათობელი საისტორიო ჭეშმარიტებითა, თვისი სიცოცხლით, მოთხრობით და თვით სიკეთილითაც არის დიდი მ ო ძ ღ ვ ა რ ი ცხოვრებისა; ამისმა სიკეთილმ შეგვიერთო ე რ თ ი ს მწუხარების გრძნობით დიდი საერო ოჯახის შვილნი საქართველოს ყოველს კუთხიდან; მცირედნი აქა მყოფნი და მრავალნი აქ არა მყოფნი, შეუპყრიგართ ამ ერთს საერთო ლოგის წუთს, მაღლი ერთობისა, აწ ჩვენი გამსჭვალული გულის და სულის თანაზიარებით. ამასთანავე ამ არასანუგეშო საფლავის წინაშე გვაძლევს ნუგეშს მომავლის უშკოებესობისას, იმ სულის განმეკიცებითა, რომელიც არის დაეფერებული მამა-პაპათაგან, ამის ხელით და ენით მეტყველითა. თუ რომ მადლმა ამისის ცოდნისა და სიყვარულისამ სული ჩაუდგა მკვდრებს, ენა აუდგა ქვებს, აალაღდა ნანგრევები, ნუ თუ ცოცხალი ქართველი, კაცური სულისა და გულის პატრონი, არ აღიძვრის, არ განიმსჭვალვის ამისი მოძღვრებით და არ ისწავლის მაგის გზას ძმურის, ერთობრივის, ერთსულის მოღვაწეობისას, მამულის სამსახურისას, სიმართლის, სინათლის და მეცნიერებისას?!

აბრამ ლინკოლნი

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“ № 81)

ამით განსაზღვრა ლინკოლნმა თავისი ურთიერთობა ჯონ ბროუნთან, რომლის მოქმედებითაც აღშფოთებული იყო იმ დროინდელი ამერიკის კონსერვატიული წრეები.

შემდეგ ლინკოლნმა უშფალოდ მიმართა სამხრეთელებს, მის „დაკვირვებულ და სამართლიან ადამიანებს“ და სთხოვა კარგად შეისწავლონ რესპუბლიკანელების მიზნან-დასახულნა. „თქვენ ხომ არ შეგიძლიანთ სასამართლოში არ მოუსმინოთ ყაჩაღებს და მკვლელებს, მაშ რატომ არ გინდათ მოუსმინოთ რესპუბლიკანელებსო“.

ლინკოლნმა მრავალჯერ აღნიშნა და გამიმორა, რომ მისი პარტია არ ჩაერევა სამხრეთელ შტატების მონათმფლობელობის საკითხში, ან საზოგადოთ ამ შტატებში არსებულ კანონებშია. „მაგრამ, თქვენ მაინც კარა თანხმდებით რესპუბლიკანური პრეზიდენტის არჩევას, ასეთ შემთხვევაშია, — აცხადებდა, — დაარღვევეთ კავშირს და თქვენის განცხადებით კავშირის დარღვევის პასუხისმგებლობა ჩვენს დაგვაწვება. ეს უცნაურია! ეს ხომ იმასა ჰგავს, რომ ყაჩაღმა რევოლვერი მოგადოს ყეფაზე და გითხრას: მიმეცი რაც კი რამე გაქვს, თორე მოგაკლავ და მკვლელი შენ იქნებიო“!

დასასრულს მან მიმართა თავის მომხრეებს: „დამეხმარეთ, მაპოვნინეთ კავშირის შემარყეველ ისტერიის საწინააღმდეგო მალამოო.“ ლინკოლნის აზრით, „როგორიც არ უნდა გამომწვევი იყოს ჩვენი მოწინააღმდეგის საქციელი, ჩვენ ნუ ავყვებით, უპასუხოთ თავშეკავებულათ და კონსტრუქტიულად. ჩვენ არამც თუ არ უნდა შევებრძოლოთ სამხრეთელებს, არამედ, ჩვენი მოქმედებით უნდა დავაარწმუნოთ, რომ მათ არ ვებრძვით. როგორაც არ უნდა ბოროტებთან მოგვაჩნდეს მონობა, ჩვენ არ უნდა შევებრძოლოთ მას იქ, სადაც არსებობს ამას მოითხოვს კავშირის ერთობის ინტერესი. ეს ჩვენი პოზიცია გამიმდინარეობს მონობის არსებობის ფაქტიდან!-ო.

მიუხედავათ ჩვენი ამგვარი ლოიალობისაო, აცხადებდა ლინკოლნი, თუ მაინც მოპირდაპირეებნი თავდასხმის მსხვერპლები გავხდებით, უშიშრად უნდა მოვიხადოთ მოვალეობა. ოღონდ ნუ ავყვებით იმ ჯორებს, რომლითაც ცდილობენ ჩვენს გადამუშავებას; ნუ ავყვებით მათ, რომლებიც ბოროტებისა და სიკეთის შორის ეძებენ საშუალოს.

ვის შეეძლო მეტის თქმა? ან ვის შეეძლო გამოემეძღავნებინა შეთანხმების მეტი სურვილი?

ლინკოლნი ღებულობდა ბოროტებას, რომელიც თვით კავშირის ფუძეში იყო ჩაშენებული, რადგან ხანგრძლივმა დაკვირვებამ დაარწმუნა, რომ ამ ქვეყნად არ არსებობს ფასოლუტური სიკეთე, ან სიბოროტე. ქვეყნიერებას დაფუძნებიდანვე დაჰყვა სიკეთის და ბოროტების კომპრომისული თანაარსებობა. ის მზათ იყო დაუნდობლათ შებრძოლებოდა ახალ ტერიტორიებზე ბოროტების, ე. ი. მონობის გავრცელებას და მიეღო ეს სადაც უკვე არსებობდა, კავშირის შემონახვის მაღალი მოსაზრებებით. მას სწმენდა, რომ სამხრეთის შტატებშიც თანდათანობით ჩაკვდებოდა მონობა, როცა სამხრეთელები დარწმუნდებიან, რომ მონური შრომა არ ამართლებს იმედებს და შრომის ნაყოფიერებას თავისუფალი ადამიანის თავისუფალი შრომა იძლევა. ამიტომ ლინკოლნისათვის პირველი და გადაუდებელი საკითხი იყო კავშირის შენახვა და მოლიანობის განმტკიცება.

ლინკოლნი არ მიისწრაფოდა დაუყონებელი ემანსიპაციისაკენ. ის სავსებით იზიარებდა ჩარლ ადამსონის აზრს, რომელიც სწერდა: „სახელმწიფოებრივი საშუალებით მიღწეული ემანსიპაცია უბედურება იქნება ნეგრებისათვის. ეკონომიური რევოლუციით გამოწვეული ემანსიპაციაც, ასევე უბედურება იქნება, თუმცა უფრო ნაკლები, რადგან ეს შეამცირებს მათ სამეურნეო ღირებულებას. ერთად-ერთი გამოსავალია მათი თანდათანობით განთავისუფლება, იმის მსგავსად, როგორც ფეოდალიზმის დაცემამ გამოიწვია ბა-

---

აი, წამი უმწვერვალესის მწუხარებისა, წამი საუკუნოდ გაყრისა. მშვიდობით, სიმხნისა და გამტანობის მოძღვარო! მშვიდობით, დიდებისა და სიქველის მომთხრობელო და წმინდა გრძნობათა გამაკოცხლებელო, მშვიდობით, მამულის დიდებამო და სიქადულო! მშვიდობით, ამ დროის მეცნიერების მწყობრში საქართველოს წილის შემტანო! მშვიდობით, ერთობის ღვაწლის მოანდერძეო და მაგალითო! მშვიდობით, მშვიდო, ტკბილო მეცნიერო, ჯერ უმეტკვიდრო! იყოს შენი ღვაწლი წინამძღვრად და ლამპრად შენთა მომავალთ მემკვიდრეთა, რომელთაც მოათვინ და დაავგირგვინონ შენი დაწყებული შენობა ჩვენის დიდებისა!.. საუკუნოდ იყავენ ხსენება შენი და შენთა ნაყოფიერთა ღვაწლთა ერისა და მამულისათვის!..

ნიკო დადიანი

დიდუბის პანთეონი. 1890 წ. 13 თებერვალს

აბრამ ლინკოლნი

(დასაწყისი იხ. მესამე გვერდზე)

ტონ-ყმობის გაუქმება. შავკანიანებს ეკონომიური მზრუნველი სჭირდებათ, მაგრამ ვილა იზრუნებს, თუ მათ დაკარგეს ეკონომიური ღირებულებანი?".

ლინკოლნი ერთი იმათთაგანი იყო, რომელმაც გაბედულად შეხედა პრობლემას და ნაგრეხის მომავალი მაღალ უმნური მოზაზრებით შეაფასა. საამისოთ მას კიდეც ჰქონდა ხანგრძლივი, მაგრამ პოზიტიური გეგმა დაშუშავებული და მის განადგურას ყოველი საშუალებით ცდილობდა. მონობის დაცველებს სწორედ ამიტომ არ უყვარდათ ის.

სამაგიეროთ „ნიუ-იორკ ტრიბუნის" ხალხი თაყვანსა სცემდა და წინასწარმეტყველ პავლეს შემდეგ მას უდიდეს პიროვნებათ სთვლიდნენ. იმდროინდელი „ნიუ-იორკ ტრიბუნი" წერდა: „ორასდროოს ნიუ-იორკის საზოგადოებაზე არაფის არ მოუხდენია ასეთი დიდი გავლენა"-ო". მაგრამ ლინკოლნი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა სამხრეთზე. რომელსაც ემფდარებოდა ყოფილიყო რესპუბლიკანელების მიმართ სამართლიანი და მოესმინათ მათი აზრები. აგრეთვე უმნიშვნელო იყო ლინკოლნის გავლენა თვით რესუბლიკანური პარტიის ლიდერებზე. სათნოება, შემრიგებლობა და დანდობა, იმ დროს შექმნილ ფსიქოლოგიურ ისტორიას არ ეგუებოდა.

მიუხედავათ ამისა, რესპუბლიკანურმა პარტიამ 1860 წ. მაინც ლინკოლნის კანდიდატური წამოაყენა.

ამას წინ უსწრებდა დემოკრატიული პარტიის კონფერენციის „გადადება", რომლის დელეგატები ვერ შეთანხმდნენ თუ ვინ უნდა ყოფილიყო მათი საპრეზიდენტო კანდიდატი. დუგლასი, რომელიც ერთად-ერთი სერიოზული და საფათერაკო მოპირდაპირე იყო ლინკოლნისათვის, მიუღებელი აღმოჩნდა დემოკრატ ფანატიკოსებისათვის, რადგან დუგლასი არა ღებულობდა უმაღლესი სასამართლოს გარდაწყვეტილებას გაქცეული მონის. დრედ სკოტის შესახებ. დუგლასის აზრით ეს გარდაწყვეტილება, საზოგადოთ საფრთხეში აგდებდა მონათმფლობელებს და თუ ეს პრეცედენტი შეიქმნებოდა, სახეალიოდ არავინ იქნებოდა დაზღვეული. ამან დემოკრატებში წარმოშვა მკაცრი წინააღმდეგობა. რომელსაც დაინტერესებულნი ხელოვნურათაც აღრმავებდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ამას მოჰყვებოდა თვით კავშირის დარღვევაც.

რესპუბლიკანური პარტიის დელეგატები ხედავდნენ დემოკრატიული პარტიის რღვევას და მომავალ არჩევნების გამარჯვების იმედით ივსებოდნენ. მათ პირველ ნაბიჯათ მიიჩნიეს საარჩევნო პროგრამის გამომუშავება. იმ დროის ამერიკისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები უნდა დაეკმაყოფილებინათ. ლინკოლნისათვის მთავარი იყო კავშირის შენახვა. მისი მთლიანობის დაცვა; ამასთან. თავისუფალ ტერიტორიებზე მონობის არ დაშვება, საბაჟო გადასახადის გაზრდა. ე. ი. საკუთარი ინდუსტრიის დაცვა, წყნარ ოკეანეს რკინის გზა და სხვა მრავალი შინაკეთილმოწყობის საკითხები.

იშვიათია, რომ საარჩევნო პროგრამა ნათელი და გარკვეული იყოს. ისენი ბურუსში ხვევენ თავის შეპირებებს, რათა გამარჯვების შემთხვევაში უკანდასახვი გზები ჰქონდეთ. უფრო ნათელი და გარკვეული ყოველ პარტიას არჩევნების დროს, მარტო ისა აქვს, რასაც მოპირდაპირე პარტიას უწერნენს. ისიც ცნობილია, რომ არჩევნების დროს მასის ხმებს იგებს არა პროგრამა, არამედ პიროვნება, რომელსაც უნარი აქვს მსმენელი მოაჯადოოს და გაიყოლიოს. რესპუბლიკანელების დელეგატებმაც სწორედ ამას მიაქციეს ყურადღება და ამიტომ ზოგიერთი დელეგატის ყურადღება შეჩერდა ნიუ-იორკის სენატორ სუარდზე, დელეგატების მეორე ნაწილი კი ოჰაიოს შტატის ყოფილ სენატორ ჩეისეს სთვლიდა მოგების კანდიდატად. გამოირკვა. რომ პირველი ორი კენჭის ყრის დროს ვერც ერთმა მათგანმა საკმარისი ხმები ვერ მიიღო. ამ შემთხვევაში ლინკოლნის მომხრეებისათვის ნათელი იყო, რომ მესამე. ახალი კანდიდატი დასძლევდა ყველას. მით უმეტეს რესპუბლიკანელებისათვის საჭირო იყო ოჰაიოს, პენსილვანიის, ნიუ-იორკის, ნიუ-ჯერსის და ახალი ინგლისის მოგება. სადაც ლინკოლნი პოპულარული იყო.

მარილაც მესამე კენჭის ყრის დროს ჩიკაგოს კონფერენციამ ლინკოლნი დაამტკიცა რესპუბლიკანური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატათ.

დაკვირვებულ და მოსაზრებულმა ლინკოლნმა იცოდა საარჩევნო ხაფანგები. ე. ი. მისი მომხრეები სხვადასხვა შეპირებებით შეიცდებოდნენ კარგი „გამყიდველების" შოვნას და სწორედ ამიტომ მან გააფრთხილა თავისიანები, რომ მისი სახელით არავისთან, არავითარ შეთანხმებაში არ შესულიყვნენ. რაც ცხადია, არ შეესრულეს და მის უსიამოვნო შედეგებს დიდ ხანს ებრძოდა ლინკოლნი.

ზოგის დღესასწაული ნიუ იორკში

მთელი ქრისტიანული სამყაროო თანაბაროს სიხარულით მოელის ქრისტეს შობის დღეს. რომელიც ერთნაირად მისაღოცია, როგორც დიდის, ისე პატარისათვის.

ქრისტიანულ სამყაროში კი ქართველები გასაკუთრებული აღფრთოვანებით ეგებებოდნენ ხოლმე ქრისტეს შობის დღეს, რადგან ქრისტეს შობასთან იყო დაკავშირებული, ჩვენი ბრწყინვალე ეროვნული კულტურა და ეროვნული პიროვნების შემოხსენა. ჩვენი ქვეყნის დღევანდელმა მსყრობელმა, —რუსეთმა სწორედ გაიგო: **ვიდრე საქართველოს ქრისტიანიზმს არ დაეშორება, მისი მოსპობა გარუსებაც არ მოხერხდება** და ცეცხლითაა და მახვილით შეებრძოოა მას. დღეს ჩვენ სამშობლოს კერძალული აქვს დღესასწაულოს ეს ბრწყინვალე დღე. მოუსპეს ბედნიერება გაბრწყინვალებული შობის ხის ძირას, „სიკვდილითა სიკვდილის დამთურგვნელ" ქრისტეს და მის წილხდომილ მარიამს კვლავ შეავედროს საქართველოს უკვდავება და მისი უკეთესი მომავალი.

ეს ბედნიერება შერჩა მხოლოდ თავისუფალ ქვეყნებში გამოხიზნულ ქართველ ემიგრაციას.

არც შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველები ღალატები ტრადიციას და აქაც ყოველ წლიურად დღესასწაულობენ ქრისტეს შობის დღეს.

ამა წლის დეკემბრის 21-ს, **Wesbury Hotel**-ის დიდ დარბაზში მრავალ ფერად აღლვარებულ შობის ხის გარშემო თავი მოიყარეს ქართველმა ბავშვებმა, მათმა მშობლებმა და ნიუ იორკში და მის ახლო-მახლო მცხოვრებ ქართველებმა და ერთი-მეორეს მიულოცეს ქრისტეს შობის მაღალ-შთამაგონებელი დღესასწაული.

საბავშვო პროგრამას მომზიბლავი ელფერი მისცა ქ-ნ ე. ცომაიამ, რომელიც. ყველა ბავშვს, თანაბარი თბილი გრძნობიერებით ეხმაურებოდა, რათა მოწყენილი არავინ დარჩენილიყო. ბავშვებიც უმანკო აღტაცებით შეხვიდნენ „შობის ხის დედას"

საბავშვო თამაშთან ერთად. მეტად მგრძნობიარე იყო მათი ლექსების და მოთხრობების მოსმენა. ბ-ნ გ. მორალიშვილის ბავშვმა თანაოლულს გაუზიარა საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები; როგორ შეხვდა მას ბებია, ნათესავები და მეზობლები. ... მენთეშაშვილის ბავშვებმა წარმოსთქვეს ქართული ლექსები. ხაზგასასმელია ექვსი წლის ლინდა დევიდსონი, რომელიც დედით გერმანელია, მამით კი შოტლანდიელი და ეს ოჯახი ქართველებთან ხშოლოდ მეგობრობით არის დაკავშირებული . . . ექვსი წლის ლინდამ შობის ხეზე თავმოყრილ ქართველებს ქართული ლექსი უთხრა:

„აყვავებული მთები, აყვავებული მდელო, შენ როსღა აყვავდები, მამული საყვარელო" უფრო ადრე კი ბავშვი უმანკოებით თითქოს ამოიოხრა და სთქვა: „ოხ, რა მშვენიერი კუნძული წაგვართვეს რუსებმა და აღარ გვაძლევენო".

დასასრულს ბავშვებს დაურიგდათ საჩუქრები და გაუმასპინძლდნენ სადილით.

ულრმესი მადლობის ღირსია ქართული სათვისტომოს გამგეობა ა ბ ბ ვ ა რ ი დღესასწაულების გამართვისათვის. კერძოდ კი გამგეობის წევრი ქ-ნი ე. ცომაია, შობის დღესასწაულის შუქმფენად ჩატარებისთვის და მთელი ჩვენი სათვისტომოს შემადგენლობა, რომლებიც გულწრფელ მონაწილეობას იღებენ ყოველ საკეთილო თაოსნობაში.

ვ. სანგულია

საქართველო

ამ სათაურით ოსმალურ ენაზე დაიბეჭდა წიგნი, რომელიც შეიცავს: საქართველოს კულტურას, მის ისტორიას, ლიტერატურას და ხელოვნებას. წიგნი დანაწილებულია ცალ-ცალკე თავებად და ყოველი მათგანი დასურათებულია ისტორიული, თუ თანამედროვე ძეგლებით.

გამოყენებულია ყველა ხელმისაწვდომი ისტორიული და თანამედროვე წყაროები, როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერების გამოკვლევებიდან. მის ყოველ სტრიქონში გამოსჭვივის საქმის დიდი ცოდნა და სიყვარული.

წიგნის ავტორია ქართული საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ბ-ნი ახმედ ოსკანი. (ბელაშვილი).

ბ-ნ ახმედს საინტერესო და ერთი შეხედვით უცნაური წარსული აქვს. მისი ოჯახი რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს გადმოსახლდა თურქეთში, „რადგან მათ არ მოინდომეს რუსული რეჟიმის დამორჩილება". მას შემდეგ მისი წინაპრები დედა საქართველოს აღარ დაბრუნებიან. თვით ბ-ნი ახმედი უკვე დამწყებული კაცი იყო, როდესაც გაიგო, რომ. თურმე, ქართული დამწერლობა არსებობს. მას შემდეგ ის დაეწაფა ქართული ენის და დამწერლობის შესწავლას და ეს „სენი" სხვებსაც გადასდო. მისი წყალობით. დღეს მრავლად შეხვდებით ოსმალეთში ქართველ წარმოშობის, ქართულ ენაზე მოლაპარაკე თურქებს, რომლებიც. თავის სამშობლო — ოსმალეთთან ერთად. არ ივიწყებენ ძველ, დედა სამშობლოს და ამაყობენ კიდეც თავისი ქართული შთამომავლობით.

ბ-ნი ახმედ ოსკანი (ბელაშვილი) დიდი ხანია მუშაობს „ოსმალეთში ქართული კულტურის ნაშუბებზე". მის მდიდარ არქივში ინახება, რაც საუკუნეებით მოწყვეტილმა ქართული წარმოშობის ოსმალებმა შემოინახეს: საქორწილო. სახვიმო სიმღერები. სამგლოვიარო (მოთქმით ტირილი). ცეკვა და ლხინი. რამოდენიმე წლის წინ. ახმედას ინიციატივით შემდგარ ქართულ მოცეკვავეთა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო „სახალხო ცეკვების ფესტივალში", რომელმაც მაყურებელი საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. ფესტივალის მსაჯმა კი მას პირველობა მიაკუთვნა.

საზოგადოთ. ჩვენი ახმედი მუყაითად ჩაჭიკრაკიტებს. აცოცხლებს და აღვივებს ყველა იმას. რაც მის წინაპრებს საქართველოდან თან გამოჰყოლიათ . . . ამ საქმიანობაში ახმედი სიამაყესთან ერთად საკუთარ სიამოვნებასაც განიცდის.

ამ წიგნის გამოქვეყნების გამო ბ-ნმა ახმედამ მრავალი მილოცვები მიიღო. მას ულოცავენ არა მარტო ქართველები. არამედ ძველი კულტურით დაინტერესებული უცხოელი მეცნიერებიც. თუმცა. „სიტკბოსთან ერთად შხამიც შელია". მაგრამ ახმედა არ ეკუთვნის იმ კატეგორიების ადამიანებს, რომლებიც მარტო ტკბილს ეძებენ ცხოვრებისაგან და მისმა მტკიცე ნებისყოფამ და ორგანიზმმა „შხამიც" დაძლია და მოინელა.

„ქართული აზრის" რედაქცია, რომელსაც სიამოვნებით შეუერთდება მთელი ქართული საზოგადოება, უღრმეს მადლობას უხდის გაწეული შრომისათვის და უსურვებს ახალ-ახალ მიღწევებს.

„ქართული აზრის" რედაქცია.

„ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების".

გიორგი მერჩულე

***

„ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს."

იოანე-ზოსიმე

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ აგვისტოს 26-ს, ბუენოს-აირესში (არგენტინა), გარდაიცვალა

მარგალიტა ლორთქიფანიძე

„ქართული აზრის" რედაქცია ღრმა თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ნოემბრის 17-ს, ნიუ-იორკში გარდაიცვალა

ქეთევან მიქელაძე

„ქართული აზრის" რედაქცია ღრმა თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ განვლილი ნოემბრის 25-ს, გერმანიაში გარდაიცვალა

დრ. გიორგი მაღალაშვილი

რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა იმ პერიოდში, როცა ქართველებმა იფიქრეს რუსული იმპერიალიზმის მზე ჩაესვენა და მისი დანგრევის დრო დადგა.

რედაქციისაგან

განვლილი 1969 წლის განმავლობაში „ქართული აზრის" ფონდისათვის რედაქციამ მიიღო შემდეგი შემოწირულება:

დრ. ო. ზალდასტანიშვილი — 150, დრ. გ. გაბლიანი — 100, ალ. ჭეიშვილი — 100, ვ. სანგულია — 50, ნ. თოფურია — 30, ს. გაბუნია — 30, გ. ზალდასტანიშვილი — 32, გ. ცინცაძე — 10, ვ. საყვარელიძე — 10.

ულრმეს მადლობას უცხადებთ ქართული ბეჭდვითი სიტყვის გულშემატკივრებს და მკითხველ საზოგადოებას გვსურს მოვავონოთ, რომ წინამდებარე გაზეთი ქართველ პოლიტიკური ემიგრანტების ნებაყოფლობით დაბეგვრით და შემოწირულებით არსებობს. მისი ფონდის გასამტკიცებლად გადებულ შემოწირულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს შესაძლებლობას გვაძლევს შევინახოთ, თითქმის, ერთად ერთი პერიოდული ეროვნული პოლიტიკის ორგანო.

G. A. Press

ლებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

114 St. Mark's Place,
Tel.: 473 - 0240
New York 10009, N. Y.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Mr. G. Djakeli
535 E. 78 Street,
New York, N. Y. 10021

ამავე მისამართიდ უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.
EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia, Dr G. Gabliani.

მართალია ლინკოლნი იმ დროს უკვე ცნობილი მოღვაწე იყო, მაგრამ ფართო მასამ მის შესახებ ბევრი რამ არ იცოდა. თუ არ მიეღებთ მხედველობაში მექსიკასთან ომს, რომელმაც მას სენატორის სკამი დაუკარგვინა და მონობის საკითხს, მის შესახებ თითქმის არაფერი იცოდა. იმდენად ფრთხილი და მოზომილი იყო, რომ მას არც ერთ „ხელჩართულ" ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია.

ამის შემდეგ, სულ ერთ თვეში, დემოკრატიული პარტია ორათ გაიყო. ჩრდილოელებმა თავის კანდიდატად დუგლასი აირჩიეს, რომელმაც საარჩევნო ფორმულად სახალხო სუვერენიტეტი წამოაყენა. სამხრეთელებმა კი კენტუკელი ჯონ ბრეკენრიჯი, რომელსაც საჭიროთ მიაჩნდა „მთავრობას დაეცვა მონობა შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე".

ამავე პერიოდში წარმოიშვა ახალი პარტია: საკავშირო კონსტიტუციონალური პარტია. მისი შემადგენლობა იყო, რამოდენიმე ხანდაზმული ვიგი, უებსტერის და კელის ყოფილი მეგობრები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ რესპუბლიკანელები მეტად რადიკალურები იყვნენ და მათ მიემატა მცირე რიცხვი სამხრეთელი ვიგებმის, მოსაზღვრე შტატებიდან. რომლებსაც არ შეეძლოთ შეერთებოდნენ ჩრდილოელებს და არც უნდოდათ ფანატიკოსებთან გაერთიანება, რაც მათი ღრმა რწმენით კავშირის დარღვევას მოასწავებდა.

აშკვარად, არჩევნების წინ, შეერთებული შტატები გაიყო სამ ნაწილად: რესპუბლიკანელები და დემოკრატების ორივე ნახევარი. მხოლოდ მცირე რიცხვი დაღლილი და ხანდაზმული ვიგები შერჩნენ ძველ პოზიციებს.

როგორც შემდეგ გამოირკვა ლინკოლნის გამარჯვებისათვის ამ დაქსაქსულობას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა. მთელი მისი ოპოზიციური ხმები რომ გაერთიანებულიყო. თურმე მაინც გაიმარჯვებდა.

ლინკოლნის შემდეგი პრობლემა იყო: შესძლებდა თუ არა დაერწმუნებინა სამხრეთი. რათა მათ მიეღოთ რესპუბლიკანური პრეზიდენტი, დროებით მაინც. ვიდრე შესაძლებლობა ექნებოდა სამხრეთს მისი საქმიანობის მიხედვით შეეფასებინა იგი. იმ პილიტიკურ ისტერიის ატმოსფეროში, ცხადია. ეს შესაძლებლობა გამორიცხული იყო.

საარჩევნო კამპანიის მანძილზე, სამხრეთი ამტკიცებდა, რომ რესპუბლიკანელების გამარჯვება გამოიწვევდა კავშირის დარღვევას, სამხრეთის მტკიცენი „ლინკოლნი დაუყონებლივ მიიღებდა ემანსიპაციას. ე. ი. მონების უფლებების გათანასწორებას. რაც გამოიწვევს თავისუფლების. სახლის. საკუთრების და ყოველივე იმის დაკარგვას. ცხოვრებას რომ ღირებულებას აძლევსო". ხოლო უფრო რადიკალური ნაწილის დევიზი იყო: შეებრძოლეთ უსამართლობას და შეუფარაკეფოს, შეებრძოლეთ ტირანიას, ეს იქნება ერთი ადამიანის თუ 18 მილიონის სახით. ეს არის ფედერალური კავშირის ყოველი მოქალაქის წმინდა მოვალეობაო!.

(გაგრძელება იქნება).

არ. დონაური